



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკა (ინგლისურენოვანი)
პროგრამის ხელმძღვანელი	ივანა მაჩიტაძე, ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკური მეცნიერებების დოქტორი საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: +995 32 259 50 05/06/07 (შიდა ნომერი 121) ელ-ფოსტა: imachitidze@ibsu.edu.ge
სწავლების საფეხური	მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების მეორე საფეხური)
სწავლების ენა	ინგლისური
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
კრედიტების რაოდენობა	პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, რომლებიც შემდეგნაირად არის განაწილებული: <ul style="list-style-type: none"> • სპეციალობის სავალდებულო კურსები- 50 კრედიტი; • სპეციალობის არჩევითი კურსები - 40; • სამაგისტრო თეზისი - 30 კრედიტი. <p>არჩევითი 40 კრედიტიდან სტუდენტებს უფლება ეძლევათ, გამოიყენონ 8 კრედიტი თავისუფალი კრედიტების სახით.</p>
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი საერთაშორისო ურთიერთობებში (0705) Master of Social Sciences in International Relations (0705)
დაშვების წინაპირობები	სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტების დაშვება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად - ერთიანი სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე). სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება, გახდეს პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კანდიდატმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები სპეციალობის საგანსა და ინგლისურ ენაში (B2 დონე): ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარება არის სპეციალობის გამოცდაზე დაშვების წინაპირობა. ინგლისური ენის გამოცდაში აპლიკანტმა შეიძლება მიიღოს ჩათვლა (აპლიკანტი აკმაყოფილებს B2 დონეს) ან ჩაჭრა (აპლიკანტი არ აკმაყოფილებს B2 დონეს). იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ინგლისური ენის გამოცდაში მიიღებს ჩათვლას (დადებით შეფასებას) მას მოეთხოვება სპეციალობის გამოცდის ჩაბარებაც, რომელიც შეფასდება 100 ქულიდან. თუ აპლიკანტი სპეციალობის გამოცდაში ვერ დააგროვებს მინიმუმ 61 ქულას 100-დან, ის გამოეთიშება კონკურსს (კონკურსიდან შეირჩევა საუკეთესო 20 აპლიკანტი). ინგლისური ენის გამოცდიდან თავისუფლდებიან ის პირები, ვინც ფლობენ ბაკალავრის ხარისხს ინგლისურ ენაზე სწავლების საგანმანათლებლო პროგრამებიდან, ან რომლებსაც აქვთ ინგლისური ენის B2 ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL IBT, IELTS and FCE).
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ მეცნიერული კვლევების ჩატარებას საერთაშორისო ურთიერთობების დარგში. ამ მიზნის მისაღწევად, პროგრამას აქვს სამი ამოცანა. პირველი, პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებს მისცეს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიისა და ისტორიის სიღრმისეული ცოდნა, მათ შორის, დარგის ისეთი საკვანძო საკითხებზე ყურადღების გამახვილებით, როგორცაა ომი, მშვიდობა, უსაფრთხოება, საგარეო პოლიტიკა და ა.შ. მეორე ამოცანა გულისხმობს სტუდენტებისთვის საერთაშორისო ურთიერთობების დარგში გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>გადაცემას. პროგრამა მიზნად ისახავს უზრუნველყოს, რომ სტუდენტები შეიძენენ და/ან განივითარებენ უნარებს როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდებში, ამასთან, პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტებს, გაიაზრონ და გააცნობიერონ საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის ფილოსოფია, რაც ხდება სტუდენტებისთვის საერთაშორისო ურთიერთობების ეპისტემოლოგიისა და ონტოლოგიის საკითხების შესახებ თანამედროვე დებატების სიღრმისეულად შესწავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფით.</p> <p>და ბოლოს, მესამე ამოცანა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, რომ, ერთი მხრივ, სრულყოფილად შეისწავლონ საქართველოს თანამედროვე საგარო და უსაფრთხოების პოლიტიკა და მისი ისტორიული განვითარება, ხოლო, მეორე მხრივ, თავისუფლად მოახერხონ საერთაშორისო ურთიერთობების რომელიმე ქვე-დარგზე სპეციალიზაცია არჩევითი კურსების ფართო სპექტრის საფუძველზე. პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი კურსები საერთაშორისო ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს ქვე-დარგებს ფარავს, მათ შორის, ევროპული პოლიტიკა, პოლიტიკური თეორია, საერთაშორისო სამართალი, ენერგოუსაფრთხოება, საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა.</p> <p>პროგრამის ამოცანების შესაძლებელს ხდის, რომ მომზადდეს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნებიან საერთაშორისო შრომით ბაზარზე და დააკმაყოფილებენ მათდამი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს, რაც სრულ თანხვედრაშია შსს-ის მისიასთან. პროგრამის მიზანია, გაზარდოს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობა ან/და მათი კონკურენტუნარიანობა სადოქტორო დონეზე სწავლის გასაგრძელებლად.</p>
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ფლობს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის სიღრმისეული ცოდნა, მათ შორის, როგორც კლასიკური სკოლების, ისე თანამედროვე ტენდენციებისა და პარადიგმების შესახებ; ✓ ფლობს სრულყოფილ ცოდნას თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების ისტორიული პროცესების შესახებ; ✓ ფლობს კრიტიკული ცოდნა ისტორიოგრაფიისა და ისტორიციზმის როლის შესახებ საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც აკადემიური დისციპლინის, გაგების პროცესში; ✓ ფლობს სრულყოფილ ცოდნას ომის თეორიის, მისი მიზეზების, თანამედროვე უსაფრთხოების გამოწვევებისა და სხვა საკითხების შესახებ; ✓ სრულყოფილად იცნობს საქართველოს საგარეო პოლიტიკას, მის ოფიციალურ პრიორიტეტებსა და გამოწვევებს; ✓ აცნობიერებს საერთაშორისო სისტემის გავლენას პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე და პირიქით; ✓ სრულყოფილად აცნობიერებს სოციალური მეცნიერებების ფილოსოფიის წინააღმდეგობრივ საკითხებს; ✓ ნათლად აცნობიერებს სოციალური მეცნიერებების კვლევაში მიზეზ-შედეგობრივი ახსნის ალტერნატივების, ინტერპრეტაციული და სხვა მიდგომების მნიშვნელობას; ✓ ფლობს სრულყოფილ ცოდნას თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების, მათი თავისებურებების, დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ; ✓ სრულყოფილად იცნობს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის უმნიშვნელოვანეს მეთოდებს, შერჩევის სტრატეგიებსა და მონაცემთა ანალიზის ტექნიკებს.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ეძიოს და იპოვოს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი და ორიგინალური გზები, მათ შორის, ემპირიულ მონაცემებთან შესაბამისი თეორიული მიდგომების დაკავშირების მეშვეობით; ✓ მოამზადოს აკადემიური ნაშრომები საერთაშორისო ურთიერთობების დარგში ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე წარსადგენად; ✓ მოამზადოს პოლიტიკის ნარკვევები შესაბამისი რეკომენდაციებით საქართველოს საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ; ✓ დამოუკიდებლად მოამზადოს კვლევითი პროექტი საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ შესაბამისი თეორიული ახსნისა თუ ინტერპრეტაციის, მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მეთოდების გამოყენებით და წარადგინოს ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე; ✓ გამოიყენოს ფილოსოფიური პარადიგმები და კონცეპტები საკუთარ კვლევით პროექტში; ✓ მიიღოს გადაწყვეტილება, თუ როგორი ანალიტიკური ჩარჩო გამოიყენოს კონკრეტულ კვლევით პროექტში იქნება ეს მიზეზ-შედეგობრივი ახსნა-განმარტება, ინტერპრეტაცია, სტრუქტურული თუ ფუნქციონალური ახსნა. <p>დასკვნის უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ გააანალიზოს ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები ისევე როგორც საფრთხეები მშვიდობისა და სტაბილურობისთვის როგორც კონკრეტულ რეგიონში, ისე მთლიანად საერთაშორისო სისტემაში; ✓ კრიტიკულად გააანალიზოს საკვანძო მოვლენები საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში და მოახდინოს მათი კონტექსტუალიზაცია; ✓ წაიკითხოს, გაიგოს და ინტერპრეტაცია გაუკეთოს აკადემიურ ტექსტებს, რომლებიც ეხება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას და ჩამოაყალიბოს არგუმენტირებული დასკვნები შესაბამისი თეორიული ჩარჩოს გამოყენებით; ✓ სათანადო თეორიული პერსპექტივიდან კრიტიკულად გააანალიზოს და სინთეზირება გაუკეთოს თეორიულ და ემპირიულ მონაცემებს, მათ შორის, კვლევის მონაცემებს, არასრული ინფორმაციის ალტერნატიული ინტერპრეტაციების იდენტიფიცირების მეშვეობით; ✓ მოახდინოს პატარა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ინტერპრეტაცია და სწორად შეაფასოს, თუ რა ფაქტორები ახდენს გავლენას პატარა სახელმწიფოების საგარეოპოლიტიკურ ქცევაზე; ✓ კრიტიკულად შეაფასოს სოციალური კვლევა ეპისტემოლოგიური თვალსაზრისით; ✓ კრიტიკულად შეაფასოს კვლევითი ნაშრომის ხარისხი ავტორის ფილოსოფიური პოზიციისა და ნაშრომში გამოყენებული ეპისტემოლოგიური და მეთოდოლოგიური მიდგომების გათვალისწინებით; ✓ გაიაზროს და კრიტიკულად შეაფასოს ემპირიული სოციალური კვლევის შედეგები. <p>კომუნიკაციის უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ იქონიოს ნათელი, ლაკონური და პროფესიული კომუნიკაცია საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარებთან და პრაქტიკოსებთან, გარკვევით ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრება დისკუსიებისა და სამუშაო შეხვედრების დროს საკუთარი შეფასებების, არგუმენტებისა და კვლევის მეთოდების გამოყენებითა და აკადემიური
--	---

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>კეთილსინდისიერების სტანდარტების გათვალისწინებით;</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ გამოიყენოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, იმუშავოს ელექტრონულ დოკუმენტებთან, ცხრილებთან და მონაცემთა ბაზებთან; ✓ მოახდინოს კომპლექსური ინფორმაციისა და ორიგინალური ანალიზის პრეზენტაცია როგორც ზეპირად, ისე წერილობით; ✓ წარმოადგინოს კვლევის შედეგები აკადემიური წერის სტანდარტებთან შესაბამისად. <p>სწავლის უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი კვლევის ინტერესები და პრიორიტეტები კონკრეტულ თეორიულ სკოლებს შორის; ✓ განსაზღვროს შემდგომი სწავლის საჭიროება საქართველოში და/ან საზღვარგარეთ; ✓ მოახდინოს იმ საკითხების იდენტიფიცირება, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობებში, როგორც აკადემიურ დისციპლინაში არასაკმარისად არის ახსნილი/გაგებული და განსაზღვროს შემდგომი კვლევის საჭიროება. <p>ღირებულებები:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ გააცნობიეროს მორალური დილემები საერთაშორისო ურთიერთობებში როგორც აკადემიურ დისციპლინაში და როგორც პოლიტიკის სფეროში და ჩამოაყალიბოს საკუთარი ეთიკური ფასეულობები დარგის თანამედროვე ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისად; ✓ ჩამოაყალიბოს ნორმატიული ხედვები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იქცეოდეს და არ უნდა იქცეოდეს კონკრეტული საერთაშორისო აქტორი; ✓ ნათლად გაიაზროს ომის საკითხების ნორმატიული წინააღმდეგობები; ✓ გააცნობიეროს მიუკერძოებელი მიდგომის მნიშვნელობა კონფლიქტების ანალიზის დროს მაშინაც კი, თუ კი სტუდენტი რამენაირად დაკავშირებული კონფლიქტის რომელიმე მხარესთან; ✓ იყოს ტოლერანტული აზრისა და მიდგომების მრავალფეროვნებასთან მიმართებაში კონკრეტული სოციალური ფენომენის შესწავლისას; ✓ გააცნობიეროს კვლევის დროს ეთიკური საკითხებისა და, ზოგადად, ეთიკური კვლევების მნიშვნელობა; ✓ გააცნობიეროს მორალური დილემები, რომელსაც სოციალური მკვლევარი აწყდება საკუთარი სამუშაოს შესრულების დროს; ✓ დარჩეს ერთგული პრინციპისა, რომ მკვლევარმა უნდა იმოქმედოს საკუთარი კვლევის მონაწილეების ინტერესებიდან გამომდინარე მასინაც კი, თუ ეს წინააღმდეგობაში მოდის დამსაქმებლის ან კვლევის დამკვეთის ინტერესებთან.
--	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა; 2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა; 3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა; 4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა; 5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა. <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; 2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.</p> <p>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:</p> <ol style="list-style-type: none"> ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში; ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში. <p>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით შემდეგი სისტემის მიხედვით:</p> <ol style="list-style-type: none"> ა) ფრიადი (summa cum laude) - 91-100 ქულა, შესანიშნავი ნაშრომი; ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - 81-90 ქულა, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; გ) კარგი (cum laude) - 71-80 ქულა, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; დ) საშუალო (bene) - 61-70 ქულა, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
--	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - 51-60 ქულა, შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;</p> <p>ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - 41-50 ქულა, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;</p> <p>ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - 40 ქულა და ნაკლები, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.</p> <p>ზემოთ მოყვანილი „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი, „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს ენიჭება ერთი სემესტრის განმავლობაში გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომის წადგენის უფლება, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე თემაზე ნაშრომის წადგენის უფლებას.</p>
<p>დასაქმების სფერო</p>	<p>საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ იმუშაონ უნივერსიტეტში ლექტორებად; საგარეო საქმეთა სამინისტროში; იმ სახელმწიფო სტრუქტურებში, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე, კერძოდ, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი, თავდაცვის სამინისტრო, სხვადასხვა სამინისტროების საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტები; არასამთავრობო როგანიზაციებში, რომლებიც მუშაობენ საგარე და უსაფრთხოების პოლიტიკაზე, კვლევით ცენტრებში და ა.შ.</p> <p>ამასთან, კურსდამთავრებულებს შეეძლებათ, განაგრძონ სწავლა სადოქტორო პროგრამაზე საკუთარი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად.</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge